შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №32667

2018 წლის 13 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2):

ა) „ნაწილი 5. გადასახდელების გაანგარიშების დამხმარე კოდების კლასიფიკატორის“:

ა.ა) „022“ კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„022	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ან/და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად მიწოდებისას (დღგ-ისგან გათავისუფლება)“;

ა.ბ) „194“ კოდის გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის გრაფები:

„197	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ქარხნულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გამოყენებისათვის, თუ სატრანსპორტო საშუალების იმპორტის განმახორციელებელი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც სავარძელ-ეტლით გადაადგილებას საჭიროებს (აქციზისაგან გათავისუფლება)
198	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი (დღგ-ისგან გათავისუფლება)
199	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაადგილებისათვის აუცილებელი საქონლი (დღგ-ისგან გათავისუფლება)“;

ბ) „ნაწილი 10. საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორის“ „483“ კოდის გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის გრაფები:

„485	სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა
486	საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სატრანსპორტო საშუალების მონაცემებს (საიდენტიფიკაციო (VIN/შასის) ნომერი, გამოშვების წელი, ძრავას მოცულობა, მარკა, მოდელი)
487	დადგენილი წესის შესაბამისად აკრედიტებული პირების გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სატრანსპორტო

	საშუალების მონაცემებს (საიდენტიფიკაციო (VIN/შასის) ნომერი, გამოშვების წელი, ძრავას მოცულობა, მარკა, მოდელი)
488	შესაბამისი მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოში არსებული წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სატრანსპორტო საშუალების მონაცემებს (საიდენტიფიკაციო (VIN/შასის) ნომერი, გამოშვების წელი, ძრავას მოცულობა, მარკა, მოდელი)
489	შესაბამისობის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პლასტიკის პარკის სისქისა და შემადგენლობის შესახებ
490	ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკის სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის EN 13432:2000 სტანდარტთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი
491	სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების ქარხანა-დამამზადებლის ან მისი ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება ქარხნულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გამოყენებისათვის
492	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების გათვალისწინებით გაცემული „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი (ფორმა NIV-50/2)“, რომელიც ადასტურებს მისი სავარძელ-ეტლით გადაადგილების საჭიროებას და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე გაცემული „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი (ფორმა NIV-50/4)“, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ამ პირისათვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის მინიჭების ვადის შესახებ“;

გ) „ნაწილი 13. სამართალდარღვევათა კლასიფიკატორის“ მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

№							
1	არაიოდირებული მარილის რეალიზაცია, ვადაგასული იოდირებული მარილის იმპორტი და რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული სხვა ფორტიფიცირებული საკვები პროდუქტების იმპორტი (მუხლი 44^4)	B	P/N	0	4	4	4
2	პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას, წარმოებისას ან/და რეალიზაციისას ტექნიკური რეგლამენტის – „პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის“ მოთხოვნების დარღვევა (მუხლი 82^5)	B	P/N	0	8	2	51
3	მე-2 ნაწილი (მუხლი 82^5)	B	P/N	0	8	2	52
4	საქართველოს ტერიტორიაზე ტეტრაეთილტყვიის იმპორტი ან რეალიზაცია, ან ფალსიფიცირებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი (მუხლი 91^2)	B	P/N	0	9	1	2
5	საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი საავტომობილო ბენზინის ან/და დიზელის საწვავის იმპორტი, რომლის ხარისხიც ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივ ნორმებს ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმებს (მუხლი 91^3, პირველი ნაწილი)	B	P/N	0	9	1	31
6	მასალების საკარანტინო შემოწმებისა და სათანადო დამუშავების გარეშე გატანა (მუხლი 99)	B	P/N	0	9	9	0
7	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა (მუხლი 127^1, მე-2 ნაწილი)	B	P/N	1	2	7	12
8	ტვირთამწეობის დადგენილი ნორმის ზევით ტვირთის გადაზიდვა ავტოსატრანსპორტო საშუალებით (მუხლი 129^1)	B	P/N	1	2	9	1
9	ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების დარღვევა (მუხლი 155^1)	B	P/N	1	5	5	11
10	მე-2 ნაწილი (მუხლი 155^1)	B	P/N	1	5	5	12

11	მე-3 ნაწილი (მუხლი 155^1)	B	P/N	1	5	5	13
12	მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვა (მუხლი 155^2)	B	P/N	1	5	5	21
13	მე-2 ნაწილი (მუხლი 155^2)	B	P/N	1	5	5	22
14	თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციისა და განლაგებისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	31
15	მე-2 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	32
16	მე-3 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	33
17	მე-4 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	34
18	მე-5 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	35
19	მე-6 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	36
20	მე-7 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	37
21	მე-8 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	38
22	მე-9 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	39
23	მე-10 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	310
24	მე-11 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	311
25	მე-12 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	312
26	მე-13 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	313
27	მე-14 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	314
28	მე-15 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	315
29	მე-16 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	316
30	მე-17 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	317
31	მე-18 ნაწილი (მუხლი 155^3)	B	P/N	1	5	5	318
32	თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილების განთავსების წესების დარღვევა (მუხლი 155^5)	B	P/N	1	5	5	51
33	მე-2 ნაწილი (მუხლი 155^5)	B	P/N	1	5	5	52
34	თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის გარეშე რეალიზაცია, თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე სამედიცინო გაფრთხილებების როტაციის წესის დარღვევა (მუხლი 155^6)	B	P/N	1	5	5	61
35	მე-2 ნაწილი (მუხლი 155^6)	B	P/N	1	5	5	62
36	მე-3 ნაწილი (მუხლი 155^6)	B	P/N	1	5	5	63
37	მე-4 ნაწილი (მუხლი 155^6)	B	P/N	1	5	5	64
38	თამბაქოს ნაწარმის საქართველოში სარეალიზაციოდ გატანა/იმპორტი ისეთი შეფუთვით ან/და ეტიკეტით, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს	B	P/N	1	5	5	9

	(მუხლი 155^9)						
39	იმ ჰუმანიტარული დახმარების პროდუქციის გაყიდვა, რომელიც განკუთვნილი იყო უფასოდ გასაცემად (მუხლი 157)	B	P/N	1	5	7	0
40	საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელის და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დარღვევა (მუხლი 157^1)	B	P/N	1	5	7	11
41	მე-2 ნაწილი (მუხლი 157^1)	B	P/N	1	5	7	12
42	ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე მითითებული უფლების მართვის ინფორმაციის შეცვლა, განადგურება ან გაყალბება (მუხლი 157^2)	B	P/N	1	5	7	21
43	მე-2 ნაწილი (მუხლი 157^2)	B	P/N	1	5	7	22
44	ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლებზე უფლების მფლობელის მიერ დასმული დაცვის ნიშნის (აღნიშვნის) შეცვლა ან განადგურება (მუხლი 157^3)	B	P/N	1	5	7	31
45	მე-2 ნაწილი (მუხლი 157^3)	B	P/N	1	5	7	32
46	სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის უკანონო გამოყენება (მუხლი 158)	B	P/N	1	5	8	1
47	მე-2 ნაწილი (მუხლი 158)	B	P/N	1	5	8	2
48	აკრძალული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ან უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს (მუხლი 164, პირველი ნაწილი)	B	P/N	1	6	4	1
49	საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნის წესის დარღვევა და ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე დავალებების შეუსრულებლობა (მუხლი 165)	B	P/N	1	6	5	0
50	თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	51
51	მე-2 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	52
52	მე-3 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	53
53	მე-4 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	54
54	მე-5 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	55
55	მე-6 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	56
56	მე-7 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	57
57	მე-8 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	58
58	მე-9 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	59
59	მე-10 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	510
60	მე-11 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	511
61	მე-12 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	512
62	მე-13 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	513
63	მე-14 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	514
664	მე-15 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	515
65	მე-16 ნაწილი (მუხლი 171^5)	B	P/N	1	7	1	516

66	მავნებელი ალკოჰოლიანი სასმელის რეალიზაცია (მუხლი 179^3)	B	P/N	1	7	9	31
67	მე-2 ნაწილი(მუხლი 179^3)	B	P/N	1	7	9	32
68	ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარეშე გადაადგილება (მუხლი 191^1)	B	P/N	1	9	1	1
69	საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა (მუხლი 194)	B	P/N	1	9	4	0
70	ბეჭდის (პლომბის/ლუქის) განზრახ დაზიანება ან აგლეჯა (მუხლი 195)	B	P/N	1	9	5	0
71	სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტის „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი ეტიკეტირების წესების დარღვევა, მათ შორის, ეტიკეტირების შეუძლებლობის შემთხვევაში დადგენილი წესების დარღვევა, მათი ბაზარზე განთავსებისას და იმპორტისას, აგრეთვე თანმხლები დოკუმენტის არქონა (მუხლი 10, მე-3 პუნქტი)	D	P/N	0	1	0	3
72	მე-4 პუნქტი (მუხლი 10)	D	P/N	0	1	0	4
73	ბიზნესოპერატორის მიერ „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი ეტიკეტირების წესების დარღვევისას, მათ შორის, ეტიკეტირების შეუძლებლობის შემთხვევაში, იმავე კანონით დადგენილი წესით სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტის ბაზრიდან გამოთხოვის და ბაზარზე განთავსების აღკვეთის განუხორციელებლობა, აგრეთვე შეუსაბამობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში განადგურების განუხორციელებლობა (მუხლი 10, მე-5 პუნქტი)	D	P/N	0	1	0	5“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ლაშქარაშვილი.